

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
 რადოვის სახლში.
 რედაქცია მიიღებს თბილისში, რედაქციაშივე;
 ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
 მცხოვრებთათვის ბდრესი: Тифлисъ, ред. (Дრობა)
 ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
 6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
 ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერ-
 დი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. უცხო ქვეყნებ-
 ბისა ითვლება მთავან დაჭერილი—გვერდის—გვე-
 რდობაზედ.
 თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს
 და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
 დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
 ავტორს.
 „Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
 границы принимаются только въ цент. конторѣ
 объявл. Л. Метдль., Москва, Петровка, № 6

მ-ლი ალექსანდრე მსტატეს-ძე ორბელიანი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და მცნობთა თავის ღმრის ქმინა მაქრინე იოსანს ასულის გარდაცვალებასა. პანაშვიდი იქნება იანვრის 24 და 25 საღამოს 7-ს საათზედ, ხოლო განსვენება იანვრის 26-ს ღამის 10-ს საათზედ საკუთარის სახლიდან ჭაშვიტის ეკლესიაში. (2—2)

ქუთაისის ერთ-ღობიანი აღწერა თბილისი, იანვრის 25-ს.

ქუთაისის ზამთრის დასრულება ერთ-ღობიანი აღწერილობა მისდამი მინდობილი ქალაქისა და რამოდენიმე ცნობა კიდევაც შეუკრებიან. რადგანაც ამ გვარი აღწერილობა ჩვენში თითქმის პირველია და შეიძლება, გაუგებლობის გამო, მას მოჰყვეს შიში თუ მეტის გადასახადისა, თუ სამხედრო სამსახურში გამოყენისა, ამისათვის საჭიროდ ესთვლით ვთქვათ, ორიოდ სიტყვა ერთ ღობიანი აღწერილობის მნიშვნელობაზედ.

სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ერთ-ღობიანი აღწერას, რომელსაც შესდგომია ქ. ქუთაისი, არავითარი პოლიტიკური ანუ ფინანსური საგანი არა აქვს, ესე იგი აღწერა არ შეეხება არც სამხედრო სამსახურს, არც რაიმე ხარჯს ქალაქის მცხოვრებლებზედ. როგორც საზოგადოდ, ისე ამ შემთხვევაში ერთ ღობიანი აღ-

წერის საგანი არის შეკრება სტატისტიკური ცნობებისა მცხოვრებლებზედ: შესახებ მათის რიცხვისა, წოდებისა, წლოვანებისა, სარწმუნოებისა; შენობებზედ: შესახებ მათის რიცხვისა, შემოსავლისა, მასალისა, რომლითაც აგებულნი არიან; სკლასნობაზედ: შესახებ სხვა-და-სხვა ხელობის განაწილებისა, და კიდევ იმისა, თუ ვინ რითი სტატისტიკებს და სხვა, ამ გვარი ცნობები პირ-და-პირ ნივთიერ სარგებლობას არას ჰმატებენ; მაგრამ ის კი უეჭველია, რომ შეადგენენ მასალას, რომლითაც ქალაქს შეუძლიან ისარგებლოს მრავალს და მრავალს შემთხვევაში.

რომ ბევრი არ ვაფარძელოთ, ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს ამ გვარ შემთხვევებისას იმავე ქუთაისში: ქალაქსა ჰქონეს პოლიციის შტატების გადიდებაზედ, რომლისათვისაც მცხოვრებლების რიცხვს უპირატესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზამთრისა არ შეეძლო გადაჭრილი პასუხის მიცემა; სა-

„დროების“ ქვეტონი, იანვრ. 25-ს

მბნობრაკიული წერილები

სტენაზეთი
 (წერილი ვეჭველ*)
 აუხაზები დარწმუნებულნი არიან, რომ კუდიანები შლიან არა თუ მარტო კაცს კაცობისაგან, არამედ პირუტყვთაც; აუხაზების წარმოდგენით, ისინი ღამით განშორდებიან ქმრებსა, რომელთაც დააძინებენ ღამად შელოცვითა და ნაცრი მიყრით, ჩაიცმენ სამამაკო ტანისამოსს და დაიარებიან მოსაპარავად ანუ შესაქმელად ჩხვილი ყრმების ფილტვებისა, ანუ ძროხის რძის გამოსაწოვად. მრავალი აუხაზები ამტკიცებენ, რომ მათ ესე ყოველი თავიანთ თვალთ უნახავთ. მთ პირუტყვის ჭირი განშორდა, ამ უბედურობასაც კუდიანებს აბრალებენ და გამოსაცდელად ჩაჰყრიან წყალში. მთ წყალმა ჩასძირა იგინი, მაშინ მართალნი აღმოჩნდებიან, და თუ მოიტყვიან, მაშინ ან დახოცვენ, ან დაუღალავენ თეძოებს განურებულის რკინით, ბოროტი სულის გასაშორებ.

ლაღ, ან ჩამოჰკიდებენ და რუჯვენ ძლიერის ცეცხლის ალით.
 აუხაზებს განსაკუთრებით ეშინიანთ კუდიანებისა მარიამობის მარხვაში. მათის გავლენის ასაკილებლად, თმაზედ წმინდა სანთელს მიიწებებენ და ისე ატარებენ მთელს მარხვას.

მღვთა სახლ-კარობაში ღელა-კაცის პიროვნება მებატონეთაგან იფარვოდა. როდესაც ყმის ცოლი მივიდოდა მებატონესთან და ქმარს უჩივლებდა—სასტიკად მოპყრობისათვის, მაშინ მებატონე საქმის გამაუკვლევლად დაიბარებდა ბრალეულს და დასჯიდა შემდგომის სახით: ბრალეულს მთლად ვახდიდნ ტანსაცმელს, შიშველს დაწვედნ ფიცარზედ, მკერდსა და მუცელზედ დაადგამდნ მაწენით სავსე ჯამებს და ძაღლებს მიუშვებდნ ამ ჯამების სათქველევად.

ჩვენ დიდი ხანია, რაც დაგროვეთ ჩვენი მშვენიერი მსმა-ხანუმ. მთ გვახსოვს, მისი სიყვარული ჩაუვარდა თავადს მამაშუსს, რომელიც იძლია

მინისტროს უნდოდა შეეტყო მცხოვრებლების რიცხვი რეალური სასწავლებლის განხრისათვის დი კიდევ გადაწყვეტილი ვერ შეიტყო; ქალაქი შუამდგომლობდა შესამე აუტყვის გაღებისათვის; უმაღლესის ბძანებით, შემდგარი კომიტეტი გაუშვარბობისათვის ხალხის შრომისა (Комитетъ объ лучшеніи народнаго труда) ჰკითხულობდა, თუ რა ხელოვნობა უფრო გავრცელებულია ქუთაისში და ვიმეორებთ, ქალაქმა ვერც ერთს კითხვანედ სწორი პასუხის მიცემა ვერ შეიძლო, რადგანაც ქუთაისის არათუ ერთ-ღობიანი აღწერილობა, არავითარი არა ჰქონია და არცა აქვს და თუ ვისმეს რაიმე ცნობა გაუგზავნა, სიჩქარით პოლიციისაგან შეკრებილი და სისწორისაგან შორი.

ამ გარემოების მიხედვით დღეს დაწყებულს საქმეს დიდს სიამოვნებით, ვეგებებით, მაგრამ მოგაგონებთ ქუთათურებს, რომ სისწორე აღწერილობისა დამოკიდებულია მცხოვრებლებზედ, რომელთაც არავითარი ცნობა, მათგან წესიერად მოთხოვნილი, არ უნდა დაფარონ, თუნდ ცნობა შეეხებოდეს: ან სხეულის ნაკლულეფანებას, მაგ. სიბრმეს, სიმუნჯეს, სიყრუვეს, მახინჯობას, ან სულიერ ავადმყოფობას სიგიჟეს, ავ-ზნეს, ან ზნეობითად დაცემულს ცხოვრებას, მრუშებას, მკითხაობას, კუდიანობას, მით

მისის ცეკით და გადასწყვიტა ცოლად შერთვა.

მამაშუგიც უწინ იზრდებოდა ძიძასთან, რომელიც მას ძლიერ უყვარდა; მამაშუგს იგი მიანდა მამათაც, დედასაც, ძმათაც, დათაც, მეგობრათაც და მოტრფიალეთაც. მამაშუგსაც ყოველთვის გარს ეხვიდნ თავის ძიძის შვილები, რომელნიც ჰსკვიდნ მას და ყოველს საქმეში მტკიცე მეგობრობას უწევდნ. იმათ შორის სრული თანასწორობა იყო; მამაშუგს იგინი თავის ძმებდ მიანდა. მათთან ჰყოფდა თავის ღმინსაც და მწუხარებასაც. მათის წლისა რომ შეიქმნა, მშვენიერად ხმარობდა იარაღს, იყო კარგი ცხენოსანი, იღებდა ჯილდოს ცხენების ქენებაში მარულაზედ და მონაწილეობდა მტრე ქურდობაშიაც. ძიძას დიდი სასოება და იმედი ჰქონდა მისი.

მორმეტის წლისა რომ შეიქნა მამაშუგ, მისცეს იგი მალაღს სასწავლებელში. ამ „სასწავლებლის“ მოთავე იყო მხნე და მამაცი გამოცდილი თავადი, რომელმაც დაიძახურა დიდი სახელი და შეიძინა გამოცდილება არა მართლა ეხლანდებურ მალაღ სასწავლებელში, არამედ იმით, რომ ყო-

უმეტეს, რომ ამ ცნობებს მიეცემათ საზოგადო და სასარგებლო მნიშვნელობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, — მცხოვრებნი ქუთაისისა და მხარეებიან თავიანთ გამგეობას და ხელს შეუწყობენ, რომ ერთ-ღობიანი აღწერილობას დაეცოს ის სისწორე და სისრულე, ურომლოდაც შრომამ შეიძლება სრულიად ამოდ ჩაიაროს.

შინაური მონიკა

== ბ-ნ ს. ბამრეკელს უპოვნიათ-ლის ღამე. მეგ. შობულოვის სახლში იშვიათი ხელ-ნაწერი, როგორც გვარწმუნებს თვით ბ-ნი ბამრეკელი, მართლის-სხობრებისა და მახუშტის გეოგრაფიისა. ორთავე ხელ-ნაწერი კარგა ფართო ქაღალდზე და მშვენიერის ხელით არის გადაწერილი და ვარაყიან ყდაში ჩასმულია.

== შორის სახელ-განთქმულს ხილს ძლიერ დაუშინებია კიდევ გორგლები. წინად ხომ მოკლე ტანისა გამოვიდა დალოცვილი ვადამთიელ ბებიების ხელიდამ და კინაღამ ყლაპვა დაუწყო მძიმოსველეთ, მაგრამ რაც შობიდან აკლდა, ის კენჭებით შეუესეს. ახლა კი გასეირნება მოუსურვებია ქაპისის ზღვისკენ: ერთი ბოძი უკვე ძაღზე შესუსტებია და ამბობენ დროზე თუ ევლთვის ასწავება ყმაწვილ-კაცთა ქურდობას, მტაცებლობას, ავაზაკობას, მთელს სოფელზედ თავდასხმას იმ განზრახვით, რომ უფრო ბევრი ტყვეები წამოასხას და მონებდ გარდაქციოს. ამ გვარის ქვევით აუხაზები ემსგავსებოდნ ძველ ხალხთ, რომელნიც ძლიერულთა და დამორჩილებულთა მონებდ და მოახლებედ აიყვანდნ ხოლმე.

აუხაზეთში ითვლებოდნ ხუთნი წოდებანი: ზიჯველს წოდებას ეკუთვნოდნ თავადნი, მეორეს შთამომავლობით აზნაურნი, მესამეს პირადნი აზნაურნი, მეოთხეს ნახევრად — თავისუფალნი გლეხნი, ხოლო მეხუთეს ნამდვილნი გლეხნი — მიწის მომქმენნი, რომელთაც ძლიერ მძიმე მუშაობა აწევთ თავზედ. აუხაზები ძალიან სცილობდნ, რომ მეხუთე წოდება შედგენილი ყოფილიყო არა ნამდვილ აუხაზთაგან, არამედ იმ ტყვეთაგან, რომელნიც წამოასხათ დაცემის დროს სამეგრელოდამ, იმერეთიდამ, ბურჯინდამ და მართლ-მანეთიდამ.

აი, ამით აიხსნება, თუ რისთვის შეხვდებით გლეხთა წოდებაში გვარსა მეგრულსა, იმერულსა, სვანურსა, გურულსა და სხვათა; მაგალითებრ:

*) იხილეთ „დროება“ № 12.

ში მას და ამასთანავე ლექსებიც კარგი იყო შინაარსით. მაგრამ ყველა ამას თავი დაეანებოთ და ესთქვათ იმაზედ, თუ ქართული გუნდური გალობა როგორი იყო. მომღერალთ გუნდს შეადგენდნენ ბ. შ. როსტომაშვილის სკოლის მოსწავლე ქალები, რიცხვით ცამეტადღნი ბ. შ. ჩხიკვაძის ლოტბარობით. სწორედ უნდა სთქვას კაცმა, რომ საზოგადოება ძლიერ აღტაცებაში მოიყვანა ამ ქალების სიმღერამ; მით უფრო რომ სულ ცამეტ-თოთხმეტის წლის ქალები ისე გაბედვით მღეროდნენ, რომ თითქოს იქ იმათ მეტი არაფერი იყოსო. შულითაღი მადლობის ღირსია ბ. შ. ჩხიკვაძე, რომელსაც ისე მშვენიერად მოეწონებინა ქალები. მადლობის ღირსია მოტომ უფრო, რომ ჩვენ აქ გავიგონეთ ზოგი იმისთანა სიმღერები, რომელნიც აქ არაფერი არ იცის და მე არსადაც არ გამოვიგონა მთელ ქანეთში. როგორც გავიგეთ, ამ ხალხგანდა ლოტბარის სკოლანია „ყურმა“ „დიამბეგი“ და სხვა ამ გვარი ძველი სიმღერები. იმედია, რომ ამათაც გავაგონებს შემდეგში. ასე კარვად გაიარა საღამომ და კარვად ბლომა ხალხიც იყო.

მს 1885 წელი თითქმის რომ გვიღობის ჩვენ კახელებს და რაღასაც გვიქადის შემდეგისთვისაც. აი, მე რაზედ მოგახსენებთ ჩემო მკითხველებო. ბ. ბაღდაძემა თითქმის ყველა აქაურ სასწავლებლებს შესწირა ფული: წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს შესწირა, როგორც გავიგეთ, 80 მ., როსტომაშვილის საქალებო სკოლას 30 მ., სამოქალაქო სასწავლებელს 45 მ. და მგონი სხვა სასწავლებლებსაც. ღიღი მადლობის ღირსია ბაღდაძე ამისთანა კეთილ საქმისათვის და ვისურვებთ, რომ შემდეგშიც არ მოაკლოს თავისი შემწეობა ჩვენს სასწავლებლებს. მხოლოდ ჩვენ ეს გვაკვირვებს, რომ ბ. როსტომაშვილის ქალების სკოლა, რომელიც ყველა სასწავლებლებზედ უფრო ღირსია და კერძო პირების შეწირული ფულებითა სტეფერობს, ჩვენის აზრით უფრო მეტ შემწევას საჭიროებს, ვიდრე სხვა სკოლა. მაგრამ არ ვიცით რა მიზეზით მოიქცა ასე ბ. ბაღდაძე, რომ ყველაზედ მცირე ფული შესწირა ამ სკოლას. ნუთუ პიროვნულ განხეთქილებას ალავი უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში?!

რუსეთი

სამი თვით დასურული ძიების წმ. მლაღიმერის უნივერსიტეტი გაიხსნა ისევ იანვრის 14-ს და დროებით დათხოვილ სტუდენტებს, იმათ გარდა, რომელნიც სრულიად არ იქმნენ გამოაიციხულნი, ხელახლავე მიეცათ ნება ლექციების მოსმენისა. პარაკლისის შემდეგ სასწავლო მაზრის მხრუნველს შემდეგის სიტყვებით მიუძღროთავს, სხვათა-

შორის, სტუდენტებისათვის: დიდად სამწუხაროა ის გარემოებანი, რომელთაც მმართველობისაგან გამოიწვიეს ცნობილი განკარგულება (უნივერსიტეტის დახურვა), მე იმედი მექნება, ბატონებო, რომ ამ ყამად ამ მეცნიერებისა და მშვიდობიანობის ტაძარში, ჩვენ, მეცნიერების გაცნობი, ამიერიდან ვინელომძღვენივით განსაკუთრებით მისის ინტერესებით და ეს მეცნიერული ინტერესები იქნებიან ჩვენ შუა შემადგენელი კავშირად, რაცაც ყველაზედ დაამყარებს უნივერსიტეტში მშვიდობიანობასა და წესს, მეტიდ ისე საჭირო მეცნიერების კეთილად მსვლელობისათვის. მაშ, გოლოკავთ, ბატონებო, სწავლის დაწყებას და სულითა და გულით მსურს, რომ ჩემმა სიტყვებმა კეთილი გონიბანი აღძრას თქვენში და დაგარწმუნოსთ, რომ კეთილ-დღეობა თქვენი არის ჩვენი საერთო კეთილ-დღეობა.“

ამა წლის აპრილის 21 რიცხვს შესრულდება ასი წელი, რაც რუსეთის იმპერიაში დასრულებულ იქნა გუბერნიის წინამძღოლთა თანამდებობა. ვაზ. „რუსის ქურთის“ სიტყვით მთავრობას განზრახვა აქვსო ამ გარემოების გამო ცვლილება მოახდინოს წინამძღოლთა უფლებასა და მოვალეობაში. ბაზეთის სიტყვით წინამძღოლთა ამიერიდან შესაძლო მზრუნველობა უნდა გაუწიონ სახალხო განათლების საქმეს და მათდამი რწმუნებული გუბერნიის მცხოვრებთა კეთილ-დღეობისას საზოგადოდ. ამასთანავე წინამძღოლთ ერთსა და იმავე დროს არ ექნებათ უფლება სხვა თანამდებობაც აღასრულონ, როგორც მაგალითად: საზოგადოდ რომელსამე გამგეობაში და საქალაქო საკრებულო დაწესებულებაში.

საჩრეთის შაჰს განუზრახავს 2,000 ჯარის კაცის გაგზავნა ასტარაბადში იომუდ თურქების წინააღმდეგ, რომ იარაღით დაიცვას თვისი ხელმწიფება ამ ხალხზე. მაგრამ რუსის მმართველობა, როგორც იწერება ინგლ. ვაზ. „Standard“-ის თერძანელი კორესპონდენტი წინააღმდეგობა საჩრეთის ცხეთს განზრახვას, რადგან რუსეთს ახსოვს ის დახმარება, რომელიც თურქმენთ გაუწიეს მას მეშვედზე წასვლის დროსაო.

რუსეთის შინაგან ვითარების მომავალს მომატანეს ბევრი გულის-შემწარავე ფაქტების გადათვლა შეხედება. მანსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში ერთი მეორეზედ უარესი მოვლენა ხდება ყოველს წრეში, რომელშიაც კი ვნებავთ.

პირეთ თუნდ ეს აღმაშფოთებელი ამბავიც: ვაზ. „ზარიაში“ სწერენ მოხელეცკის მხარეში, რომ ერთს ამ მაზრის სოფელში მცხოვრებ გლეხს ცხენის ქურდობა დაბრალდაო. ბლენები თვით გადასწყვეტენ სამართლის ვაჩინას ამ ქურდზე, ერთს დღეს მოიყრიან თავს,

მიადგებიან კარს ამ გლეხს, დაუღწვენ, გაუნადგურებენ ყოველივე ქონებას, თვით გლეხს გამოიყვანენ სახლიდან, გააწვენენ მიწაზე, გააძრობენ ხელფეხიდან კანს და შემდეგ ძარღვებს ეწვეიან ამ სახსრებიდამ. როდესაც ხედავენ, რომ მათი მსხვერპლი კიდევ სულს ითქვავს—მოიტანენ ნაჯახს და ნაკუწ-ნაკუწ დაუჩვენენ თავს. ძეთილს, რასაკვირველია არც ამ საწყალი გლეხის ცოლ-შვილს დააყრიდა ეს გააფთრებული გროვა, რომ დროზე არ გაპარ-გამოპარულიყვნენ სდლაიც; და ჩენილიყო მხოლოდ ძუძუთა ბავშვი აქვან ში. მტარავლებს არც ის შენანებოდათ, გაეჩაღებინათ ცეცხლი და შიგ ჩავიდოთ ბავშვი. ამის შემდეგ მკვლელები დარვიდნენ იმ გლეხსაც, რომელთაც უარი ეთქვათ მათთან მონაწილეობის მიღებაზე ამ საზარელ საქმეში, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, გაიგო პოლიციამ ეს ამბავი და დაატუსაღა 20 გლეხი; ამათგან ერთი დედა-კაცია.

ძიღვე შემხარავე ამბავი: სტავროპოლის გუბერნიის, სოფ. მრეხოროში ერთს სამხახურიდამ გამოხულოს რუსის სალდათს გაუუბატოურებია თვისი 14 წლის ქალი და შემდეგ რამდენსამე ხანს კავშირი ჰქონია თავის მსხვერპლთან.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

დოქტორთა ახანოვის, კასპარაინცისა და მკრტიანცის საქმე.

კამერა თბილისის შორე განყოფ. მომრიგებელ მოსამართლის, იანვრის 19-ს და 20-ს.

(დასასრული *)

ზამამტყუნებელის ექვრლის შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულის დამცველმა ბ. აზხინიანმა ბ. ანანოვის ექვრლის თხოვნაშიო — სთქვა მან — მოხსენებულისა, ვითომ პასპარიანცს სწეულთან მიწვევის დროს ჭირისუფლებისათვის ეთქვას, რომ ავადმყოფი უნდა მოკვდეს უწესოდ წამლობისაგან. მაგრამ ამ დაწამების სრული უსაფუძვლობა ცხადად გამოჩნდა სასამართლოს გამოძიების დროს. მანსვენებულის ქმარმა და მამამ გადაჭრით სთქვეს, რომ დოქტორს პასპარიანცს არც სიტყვით, არც ღიმილით და არც ნიშნებით მათთვის არ გაუგებინებია, რომ ანანოვისა და ბორალევიჩის წამლობა უწესო იყოო. ღარჩა ერთი-ღა მოწმობა, რომელსაც ვამამტყუნებელთ მხარე ეძარება. მსთქვათ, რომ ეს მოწმობა შეცდომით არის მოცემული, მაგრამ ვიკითხოთ რისთვის არის იგი მიცემული? მხოლოდ იმისათვის, რომ მიცვალებულის დამარხვა შესაძლებელი ყოფილიყო. ზამამტყუნებელი მხარე ამბობს, პასპარიანცს მხედველობა მიჰქონდა, რომ მისი მოწმობა სურგუნოვის მაშუალობით დაიბეჭდებოდა გაზეთებში და მითი შეურაცხყოფილი იქნებოდა ანანოვი და ბორალევიჩიო.

*) იხ. „დროება“ № 18.

მაგრამ ეს არაფრით არ დამტკიცებულა. რა ბრალია პასპარიანცსა, თუ მისი მოწმობა დაბეჭდვნი სურგუნოვაში?

თვით მოწმობაში ჩვენ ვერ ვხვდებით იმ ექიმთ სახელებს, რომელნიც სწამლობდნენ მიცვალებულს. ანანოვის გარდა სურგუნოვისას ექიმობდა პავლოვსკი და ბორალევიჩი. რად ჰფიქრობს ბ. ანანოვი, რომ მოწმობა სწორედ მის წინააღმდეგ არის მომართული, როცა ბორალევიჩი ბევრად უფრო მეტს მონაწილეობას იღებდა მიცვალებულის წამლობაში? მიტყვი კიდევ ამასაც: რას იფიქრებდა პასპარიანცი, თუ მედიცინის უფიცი ბ. სურგუნოვი გაიგებდა მოწმობის სამეცნიერო ტერმინოლოგიას, იმ ტერმინოლოგიას, რომელიც ვერ გაიგეს ჩვენმა მეცნიერმა ექიმებმა?

თუ პასპარიანცს ნდომებოდა ანანოვისა და ბორალევიჩის სახელის შეურაცხყოფა, მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა, რომ დაეწერა: ავადმყოფი მოკვდა ქლექისაგან, ე. ი. იმ ავადმყოფობისაგან, რომელიც არ უწამლებიათ ექიმებს. მას შეეძლო აგრეთვე აელო და გადაეცა სურგუნოვისათვის ანანოვის რეცეპტები, აეხსნა მათი მანებლობა ავადმყოფისათვის, მოეყვანა თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ავტორიტეტების აზრები, და ამ ნაირად აღკაშმულ-აღჭურვილი სურგუნოვი გაეგზავნა „ნოვაჟა აზხ.“ რედაქტორთან, რომელიც გარეშე კაცია, არ იცის სამწუხაროდ საიდუმლოები ჩვენის მედიცინისა და ამიტომაც უეჭველად დაერწმუნებოდა ყველაფერს ამას. მაშინ იქნებოდა სახელის შეურაცხყოფა აი, როცა დაიბეჭდებოდა, რომ სურგუნოვის ცოლი მოკვდა ქლექისაგან, რომელსაც არა სწამლობდნენ ექიმებიო!

ბ-ნმა შონმა თავისი სიტყვის დასასრულს მოიხსენია ამხანაგობის მსჯავრი, რომელმაც რაღაც უსიამოვნო გარდაწყვეტილება მიიღო პასპარიანცის წინააღმდეგ, მაგრამ ვინ არ იცის რა ჯურის მსჯავრია ეს მსჯავრი!

მგონია, ცხადად აიხსნა, რომ პასპარიანცის მოქმედებაში არ არის არავითარი ნიშანი ცილის-წამებისა; მგონია, სასამართლოს გამოძიებამ უარყო ამ ცილის-წამების არსებობა და დამტკიცა, რომ პასპარიანცის დიაგნოზი და წამლობა წესიერი იყო, — ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი კლიენტი არა თუ გამართლებული გავა სამსჯავროის დარბაზიდან, არამედ გამარჯვებულად სამედიცინო ბაზიდან.

მკრტიანცის დამცველი ზემესოგი, რომელსაც, როგორც თვითონ სთქვა, მცირე ასპარეზი ღარჩა დაცვისათვის, რადგანაც ვამამტყუნებელთ თითქმის სრულიად აღარაფერი სთქვეს მასზე, ამბობს:

„იმ მოქმედებას, რომელსაც ვითომ ეწამებინა ბ. ანანოვს შეიძლება განა შეურაცხყოფი ვუწოდოთ? სა-

ჭირთა განსაზღვრით რა არის სასუ-

სასჯელის შემცენება მეტის-მეტად აღემატება მოსაქმელებს რამ არის; სხვა-დასხვა წიგნით და თითქმის ერთისა და იმავე საზოგადოების სხვა-დასხვა წიგნით. მხოლოდ ერთი არის მტკიცედ დადგენილი. ეს ისა, რომ კაცის სასჯელს იმდენად უნდა იცავდეს კანონი, რამდენადც შეურაცხყოფას აყენებს ვინმე კაცის ზნეობის თვითებას. რაც შეეხება ჭკუას, ნიჭს, ცოდნას - ამათ ყველას სრულიად თავისუფლად შეუძლიან შეეხოს საზოგადოებრივი კრიტიკა.

პანაოვისა და ზორაღვიწიისათვის არაფერს არ დაუწამებია, რომ მათ ვითომც განზრახ ეპიშემბინოსთ მიცვალებულისათვის უწესოდ. მაშასადამე არ არის აქ ცილის-წამება. მა თუ მათ წამლობას შემცდარი და უწესო დაარქვენ - ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ მათთვის პატიოსნების წინააღმდეგი რამ დაებრალდებინოსთ.

ბერძანული იურისტი გელსტრედი ამბობს: „თუმცა სათაკილოა, როდესაც გიმტკიცებენ უცოდინარობას, მაგრამ კანონს არ შეუძლია თავის საფარველის ქვეშ მიიღოს ამ გვარად დამატებული კაცი“. საფრანგეთის იურისტი შასონი გვეუბნება, რომ სახელი სამ გვარი არის: სახელი პატიოსნების, ქველობისა და ცოდნის. პირველი ამათავანი კანონმა ყოველთვის უნდა დაიცვას, მეორე ზოგჯერ და შესამეკი არასოდეს.

ბოლოს დამცველმა სთქვა, რომ თუმცა მკრტიჩიანცს შეუძლია პირიქით უჩივლოს ბ. პანაოვს ტყუილ-უბრალოდ ბრალდებულთა სკამზე დასმისათვის და ითხოვოს, რომ პანაოვისაგან მისს მტყუნებას, უსინდისო მტყუნება ეწოდოს, - მაგრამ არა სურს, ასე მოიქცესო. თვითონ ბ. პანაოვმა სთქვა სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე, რომ მკრტიჩიანცს არავითარი ბრალი არ მიუძღვის ამ საქმეშიაო.

ბ. ჩემესოვის სიტყვით დასრულდა მოწინააღმდეგე მხარეთა ბაასი, რომლის შემდეგ მომრიგებელმა მსაჯულმა, თავის ვალდებულებებისამებრ მორიგების წინადადება მისცა „გამამტყუნებელს“, და „ბრალდებულთ“.

გამამტყუნებელმა პანაოვმა სთქვა: თუ ბ. ძასარიანცი იტყვის, რომ მას არ ჰქონდა ჩემი შეურაცხყოფის განზრახვა, მე მზა ვარ მოვუყოვდე ძასარიანცმა უპასუხა - მე და ჩემი ვეტილი ორი დღეა ვამტკიცებთ, რომ მაგ-გვარი განზრახვა არ მქონია...

მსაჯულმა ჩასწერა საქმეში: ორთავე მხარემ მორიგებით გაათავეს საქმეო; პანაოვმა, ძასარიანცმა და მკრტიჩიანცმა ხელი მოაწერეს და გაკვირვებულ საზოგადოებასთან ერთად კამერიდამ დაიშალნენ.

ჯელოვრამები

(„წიგნაჯელოვრამის საჯელოვრამი“)
იანვრის 23-ს

მძირი. ადგილის დასახელებად გაგზავნილმა ინგლისის რაზმმა დასწვა აჯანყებულების ბანაკი განდებთან; ამ შეტაკების დროს ინგლისელებსაც მოუვიდათ ცოტაოდენი ზარალი.

ლონდონი. გუმინ აქ დაატუსადეს ერთი კაცი, რომელზედ ეჭვი მიიტანეს ვითომ მონაწილეობა მიეღოს ახლად მომხდარს დინამიტით აფეთქებებში და დამოკიდებულება ჰქონოდად წინადაცხადებულ კენინგამთან. პოლიციას შეატყობინეს, რომ კენინგამმა მართლა მონაწილეობა მიიღო იანვრის 2-ს მომხდარს აფეთქებაში ლონდონის ქვემოდ გაყვანილს რეინის გზაზედ - და მაშინისტამაც დაზინებული მატარებლისამ იცნო კენინგამი, როგორც ერთი საეჭვო პირთაგანი.

ჯნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ. ნიშვილი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამდამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიშვი:

არსთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ქორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიძე-შარსალანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიშვი:

ვილხაძისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სამუხანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლომთისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთა დასწესს სასსკოვად 4 ახმალისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებან დღის 8 საათადამ 12 საათამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი - 8 საათადამ 9 საათამდე. საბუბო, საქალბო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლეკად; ადამიანცი - 9-დამ 10-სათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლეკად; ბენგლევისცი - 10-11 საათამდე. - სახარუგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე გბლისა და ყურის ტვივილის საწამლეკად; შტემბორსკი 11-12 საათამდე სიფილი-

სისა და სხეულზე გამოყრდილი მუწუკების წამლობისათვის. ამას ვარდა გარბლევიჩი ორშაბათობით 9-10 საათამდე შინაგან ავადმყოფობას წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10-11 საათამდე; მინგვეჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9-10 საათამდე ხარუგოვი ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11-12 საათამდე თულის ტვივილის საწამლეკად; კრასნოკლადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10-11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლკისონი გბლის ტვივილის საწამლეკად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღამის ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბატონი ექმნებათ.

მაზანდა

ზორაგისა, რომელიც იყილება თბილისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუ. სუთის ფქვილისა - 1 გ. 5 გ. აჭაყრის ფქვილისა: ბიჭკელის ხარისხისა - 1 გ. 2 1/2 გ. მეორისა - 1 გ. 2 გ.

იმავე ფქვილ. თორსკი გამომცხვარი: ბიჭკელი ხარისხისა - 1 გ. 4 1/2 გ. მეორისა - 1 გ. 3 გ. მესამისა - 1 გ. 2 1/2 გ.

ჭვარის-მამი შური: ბიჭკელი ხარის. ღაჯა ში 1 გ. 4 1/2 გ. მეორის ხარის. ღაჯა ში 1 გ. 3 1/2 გ. მესამისა - 1 გ. 3 გ.

ძრახის ხარცვი: ბიჭკელის ხარისხისა - 1 გ. 8 გ. მეორისა - 1 გ. 7 გ. სუტი . . . - 1 გ. 15 გ. ცხვრის ხარცვი - 1 გ. 8 გ.

ღორის ხარცვი: ბიჭკელის ხარისხისა - 1 გ. 8 გ. მეორისა - 1 გ. 7 გ.

რკინის გზა

თბილისიდან ბათუმიკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო სამურამდინე საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სანქარა 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით. მარტო სამურამდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შარსკევობით სანქარა 7 ს. 53 წ. დილ.)


განცხადებანი

თბილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღოლი უმოჩილესად სთხოვს თბილისის მაზრისავე თავდა-ახაურობას მიბრძანდენ მასთან სახლში მომავალს თებერვლის პირველს, დილის თერთმეტს საათზედ, როგორც მაზრის თავდა-ახაურთა კრების გასახსნელად, ისე გუბერნიის თავდა-ახაურთა მომავალის კრების საქმეების შესამზადებლად; აგრეთვე მისთვისაც, რომ, 1876 წელს გამოცემულ კანონის მეტხრე ტომის 104 მუხლის თანხმად, მასვე, წინამძღოლს ზემო-სხენებულ ღრომდინ წარმოუდგინონ საბუთნი თავიანთ მამულების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებისათვის.

თბილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღოლი.

(3-3) ლ. მალალოვი

ივანისური რკინის ქარაოტმანი.



ქრთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ღებები, ზღვის ბადახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. გიდეკ შემდეგი ხიეთები იყიდება 25% -ით უფრო ითვად, გიდეკ სხვაგან სადმე: ბრატანის მტკლლის ხიეთები, ჩაიდნები, სკანაქე, სკანაქე, ჩაის და სტალის გოჯები ხანგლებითა, ფანდხანი, დასადგმევი, შინის-სახანი, სტაქნები, სუფოგნივი, სწოლა, სუბი, რაფუგები, გრაფინები, საქაშუროთებში, ბლაფები, სასალათეები, ტაშტები, საძვეკები, სამარაქები, გარბინის საფხეკები, უნაგირება გაცისა და ქალისა; ავადრები, სღისტები, ტანის-ძოსის დასაგადებლები, საბადა მკრატლები, გაქნები, უთოები, წისქვილები, ხეჩნები, ქლაბები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკლეკრები, ზიეები, ზარალები, გასი-უფები, საფანგები, ნინბები, გატკრზრუჭა, საბნები, ჩუფქები, წინდები, სუფრები, საფტკებისათვის რგოლები, კმალიანი ჭურჭელი, მუჩბები, გამფტები, ზიეულები, სოფები, ზღვის ბადახი, დიმიტიანები და სხე. ინგლისურს მალაზიებში № 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს უფრადება მაქციეთ. (100-78)

ისეიდება იაფად რ. მ. ი. ა. ლი. თავლების (კონიუგენაია) ქრზხედ, არლუთინსკის სახლებში, სიციკოვს სადღურში. (5-5)